საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური ურთიერთიერთობები 2011-2021 წლებში

მარიამ ამილახვარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლაითაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მარიამ ამილახვარი

29.06.2021

მადლობა

მინდა, პროფესიული და პიროვნული მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფაში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ირაკლი ლაითაძეს, ვინც ნაშრომის წერის პროცესში კვალიფიციური ცოდნითა და პერსონალური გამოცდილებით მეხმარებოდა, საჭირო მითითებებსა და რჩევებს მაძლევდა.

აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო საექსპერტო წრეებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს, რომლებიც დამთანხმდნენ ჩაღრმავებული ინტერვიუსა და კითხვარის შევსებაზე. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თანამშრომლობისთვის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს საქართველოში.

აბსტრაქტი

საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობები ბოლო ათი წლის განმავლობაში არ არის შესწავლილი. ქართული და უცხოური აკადემიური კვლევები აღნიშნულ თემაზე არის ძალიან მწირი. შესაბამისად, კვლევა, რომელიც 2011-2021 წლებში საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის 2011-2021 წლებში დიპლომატიური ურთიერთობებს იკვლევს, სახელმწიფოთა გადადგმულ ნაბიჯებს და ინტერესებს გაანალიზებს, აკადემიურ წრეებში არ არის წარმოდგენილი. კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით სახელმწიფოებს რა სახის ნაბიჯები აქვთ გადადგმული. საჭიროა კვლევამ გამოყოს თუ რა ინტერესები აქვს დიდ ბრიტანეთს საქართველოსთან მიმართებაში და მეორე მხრივ, საქართველოს რა შესაძლებლობები ეძლევა გაერთიანებულ სამეფოსთან თანამშრომლობით.

კვლევისთვის გამოვიყენეთ Case Study-ის მეთოდი და კვლევა ფოკუსირებულია საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ ურთიერთობებზე 2011-2021 წლებში. გავაანალიზეთ მეორეული მასალა, რომელიც მოიცავს საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო დოკუმენტებს, ვებ-საიტებს. სამაგისტრო კვლევისთვის დისკურს ანალიზის მეთოდი გამოვიყენეთ 2019 წელს დიდი ბრიტანეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების დოკუმენტის გასაანალიზებლად. კვლევის ჩასატარებლად და ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ჩატარდა კვლევის თვისებრივი მეთოდი ინტერვიუ სამთავრობო უწყობების წარმომადგენლებთან და საექსპერტო წრეებთან, რათა გაგვერკვია რა სახის ურთიერთობები ჩამოყალიბდა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის აღნიშნულ პერიოდში.

კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობები 2011-2021 წლებში არ ყოფილა სწორხაზოვანი. ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის შეინიშნება პასიურობა. გაერთიანებული სამეფოს ინტერესები საქართველოს მიმართ განსაკუთრებით გამოხატულია უსაფრთხოებისა და ეკონომიკის მიმართულებით. საქართველოსა და

დიდი ბრიტანეთს შორის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო გადადგმული ნაბიჯი არის 2019 წელს გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება. დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა, რომ ბრიტანეთისთვის მნიშვნელოვანია შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაცული იყოს რეგიონალური სტაბილურობა. იმის ფონზე, რომ რუსეთი აქტიურად იყენებს ჰიბრიდულ ომს საკუთარი გავლენის გასაფართოებლად, მისგან მომავალი საფრთხეები სერიოზულ პრობლემებს უქმნის რეგიონისა და ევროპის უსაფრთხოებას. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის ეკონომიკური კავშირები. არასახელმწიფო აქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა დიპლომატიურ ურთიერთობებზე. პარტნიორობის შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია საქართველომ გამოიყენოს ბრიტანეთის ეკონომიკური ბაზარი და დააახლოოს სახელმწიფოთა ბიზნესები. ბრიტანეთთან ურთიერთობა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს. ბრიტანეთი საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად აქტიურად იყენებს პოლიტიკური ურთიერთობის სხვადასხვა ფორმატს, სამოქალაქო საზოგადოების დასაკავშირებლად ბრიტანეთის საბჭოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გადაჭრას ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, რათა ინგლისური უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი სახელმწიფო იყოს. ბრიტანეთთან უსაფთხოების პოლიტიკის გაღრმავება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატია, რბილი ძალა, უსაფრთხოება, ეკონომიკური კავშირები, სახელმწიფო ინტერესები.

Abstract

Relations between Georgia and the United Kingdom have not been studied in the last ten years. Georgian and foreign academic studies on this topic are very scarce. Consequently, the study, which examines the diplomatic relations between Georgia and the United Kingdom in 2011-2021, analyzes the steps taken and the interests of the states is not presented in academic circles. The aim of the research is to analyze what kind of steps states have taken politically and economically. The study needs to highlight the interests of the UK in relation to Georgia and, on the other hand, what opportunities Georgia has with cooperation with the United Kingdom.

We used the Case Study method for the research and the research focuses on the diplomatic relations between Georgia and the United Kingdom in 2011-2021. We analyzed the secondary material, which includes state documents of Georgia and Great Britain, websites. For the master's thesis, we used the discourse analysis method to analyze the Strategic Partnership and Cooperation Agreement document signed between the UK and Georgia in 2019. In order to conduct the research and confirm the hypothesis, a qualitative research method was conducted: interviews with government officials and expert circles to find out what kind of relations were established between Georgia and the United Kingdom during this period.

Based on the research, it is clear that the relations between Georgia and the United Kingdom in 2011-2021 were not linear. Most experts believe that passivity is observed among the governments of the states. The United Kingdom's interests in Georgia are particularly pronounced in terms of security and the economy. One of the most significant steps taken between Georgia and the United Kingdom is the 2019 Strategic Partnership and Cooperation Agreement. The document makes it clear that it is important for Britain to maintain regional stability in the Black Sea and South Caucasus regions. With Russia actively using hybrid warfare to expand its influence, the threats posed by it pose serious problems for the security of the region and Europe. The second important issue is economic ties. Non-state actors have

a significant influence on the diplomatic relations of states. Based on the partnership agreement, Georgia can use the British economic market and bring closer the businesses of the states. Relations with Britain will contribute to Georgia's political and economic security. Britain actively uses various formats of political relations to pursue its own interests, with the British Council attaching special importance to the State's foreign policy in order to connect civil society.

It is important for Georgia to solve the country's domestic political and economic problems in order to make English an attractive country for foreign investment. The deepening of security policy with Britain significantly determines the stability of the region.

Keywords: Diplomacy, soft power, security, economic ties, state interests.